

491-41
ბ-515

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

სიმონიანი ნატალია სერგოს ასული

არსებითი სახელის სემანტიკური ფუნქცია
ფრაზეოლოგიურ ერთეულში (რუსული, პოლონური და
ინგლისური ენების მასალაზე)

10.02.03 - სლავური ენები

ავტორეფერატი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1997

მეცნიერებათა № 12
28 " 01 1998

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სლავური ენების კათედრაზე.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ე.ლ. კრემერი.

ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ.ა. მახარობლიძე

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ.ა. ბასილაია; ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი თ.ვ. ჯაიანი.

წამყვანი ორგანიზაცია: ი. ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი.


დისერტაციის დაცვა შესდგება „20. 02 1998 წ. 14, საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P 10. 01 C №5 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორფურცელი დაიგზავნა „16. 01 1998 წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება არსებითი სახელის სემანტიკური ფუნქციის შესწავლას ფრაზეოლოგიური ერთეულის შემადგენლობაში. საკვლევ ობიექტად გამოყენებულია რუსული, პოლონური და ინგლისური ენების ფრაზეოლოგიური მასალა.

თემის აქტუალობა მდგომარეობს ფრაზეოლოგიური ერთეულების კომპონენტების სემანტიკური ავტონომიის დადგენაში აგრეთვე ამ კომპონენტების საკუთარი აზრობრივი შინაარსის გამოვლენაში ფრაზეოლოგიური ერთეულების საერთო შინაარსში.


50-იან წლებში გავრცელებულმა თეორიამ ფრაზეოლოგიური ერთეულისა და სიტყვის ეკვივალენტობის შესახებ ხელი შეუწყო ფრაზეოლოგიური ერთეულების დეტალურ შესწავლას, მაგრამ კომპონენტების საკუთარი მნიშვნელობის საკითხი არ იყო დასმული.

უკანასკნელი წლების გამოკვლევებში უკვე ისმის საკითხი იმის შესახებ, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკურ მთლიანობასა და მათი ცალკეული კომპონენტების შედგენილობას შორის არსებობს გარკვეული წინააღმდეგობა. ფრაზეოლოგიური ერთეულების კომპონენტებად დანაწევრება გვაძლევს უფლებას ვილაპარაკოთ კომპონენტების საკუთარ აზრობრივ შინაარსზე.

უკანასკნელი წლების გამოკვლევებში დადასტურებულია, რომ ადამიანის მეხსიერებაში ფრაზეოლოგიური ერთეულების კომპონენტებს აქვთ საკუთარი ასოციაციური პოტენციალი და რომ მეხსიერებაში ფრაზეოლოგიზმები შემონახულია არა მარტო როგორც მთლიანი ერთეულები, არამედ შემადგენელი კომპონენტების მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში სწორედ კომპონენტების მიხედვით, და არა მთლიანად. ამიტომაც აქტუალურია ფრაზეოლოგიური ერთეულების შესწავლა მათი კომპონენტების მნიშვნელობის აღწერით.

ფრაზეოლოგიების კომპონენტთა საკუთარი მნიშვნელობის საკითხის შესწავლა უფრო მიზანშეწონილია სხვადასხვა ენათა მონაცემების საფუძველზე, რაც გვაძლევს საშუალებას გამოვამჟღავნოთ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ჩამოყალიბების და ფუნქციონირების მექანიზმის უნივერსალური ხასიათი.

1. დ.ო. დობროვოლსკი, ი.ნ. კარაულოვი. იდიომატიკა პიროვნების თეზაურუსში, ენათმეცნიერების საკითხები, 1992, №2, გვ. 5-14 (რუსულ ენაზე).



1598-851